სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

დავით მახათაძე[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.07

აფხაზეთის საკითხი საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობებში

ანოტაცია. კვლევის მიზანია შეისწავლოს როგორ გავლენას ახდენს საქართველოს სეპარატისტული რეგიონის - აფხაზეთის საკითხი ყაზახეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო და ყაზახეთი განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას თან ახლდა გადაუწყვეტელი კონფლიქტები ავტონომიურ რეგიონებში - აფხაზეთში და სამაჩაბლოში. სეპარატიზმის პრობლემა ყაზახეთისთვისაც მნიშვნელოვანია, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები რუსი ეროვნების მოსახლეობის დიდი წილის გამო. ისტორიული და გეოსტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე ყაზახეთი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ გაერთიანებებში, სადაც რუსეთს წამყვანი როლი უჭირავს. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დამყარებიდან დღემდე ყაზახეთი ურყევად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს პოზიცია არ შეცვლილა 2008 წლის აგვისტოს ომის თანმდევი მოვლენების მიუხედავად. ნურსულთან ნაზარბაევის ოცდაათწლიანი ხელისუფლების შეცვლამ (2019 წელი), რუსეთის დახმარებით 2022 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის თავიდან აცილებამ, იმავე წლის თებერვალში დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა კვლავ მნიშვნელოვანი გახადა ყაზახეთის დამოკიდებულება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ყაზახი პოლიტიკოსები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, ფართო საზოგადოება, მიუხედავად ყაზახეთის და საქართველოსთან მზარდი ურთიერთობებისა, არ არიან საკმარისად ინფორმირებული აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს, თუ რა განაპირობებს ყაზახეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ პოზიციას აფხაზეთის პრობლემის

[1] **დავით მახათაძე** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

მიმართ და როგორ შეიძლება დადებითი ტენდენციების გაძლიერება და არსებული ხარვეზების გამოსწორება. კვლევაში ქრონოლოგიური, ნარატიული, შედარებითი მეთოდების გამოყენებით გაანალიზირებულია ყაზახეთის რესპუბლიკის ოფიციალური დოკუმენტები, ყაზახი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეების პოზიცია აფხაზეთის საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ყაზახეთი, აფხაზეთი, სეპარატიზმის პრობლემა,* ოფიციალური დოკუმენტები, ინფორმაციის ვალიდურობა.

David Makhatadze[2]

Sokhumi State University

The Issue of Abkhazia in Georgia-Kazakhstan Relations

The purpose of the study is to discuss in what way the issue of separatist region of Georgia -Abkhazia affects foreign and domestic policy of Kazakhstan.

After the collapse of the Soviet Union, Georgia and Kazakhstan found themselves in a different situation. The independence of Georgia was accompanied by unresolved conflicts in the autonomous regions - Abkhazia and Samachablo. The problem of separatism is also important for Kazakhstan, due to the large part of the population of Russian nationality living in the northern part of the country. Due to its historical and geostrategic situation, Kazakhstan actively participates in political, military and economic associations, in which Russia plays a leading role.

Since the establishment of interstate relations, Kazakhstan has unwaveringly recognized the territorial integrity of Georgia. This position has not changed despite the events accompanying the 2008 Russo-Georgian war .

The change of the thirty-year government of Nursultan Nazarbayev (2019), the prevention of protesters' attempt to take over the control of the government in January 2022 with the help of Russia, the Russo-Ukrainian war that broke out in the February of the same year made Kazakhstan's attitude towards the territories occupied by Russia important again.

Despite the growing relations between Kazakhstan and Georgia, Kazakh politicians, public figures, and the general public are not sufficiently informed about the historical and contemporary situation of Abkhazia.

The purpose of the research is to unveil which factors determine the state and public position of Kazakhstan towards the issue of Abkhazia, how to foster positive tendencies and resulotion of existing gaps.

---

[2] **David Makhatadze** , Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

In the research, the official documents of the Republic of Kazakhstan, the position of Kazakh state and public figures on the issue of Abkhazia are analyzed using chronological, narrative and comparative methods.

Keywords: **Abkhazia,** Georgian-Kazakh Relations, Non-recognition of Abkhazia, the 2008 Russo-Georgian War .

შესავალი.საქართველოს და ყაზახეთის სახელმწიფოებრივი (დიპლომატიური) ურთიერთობები ოცდაათ წელზე მეტს ითვლის. ორივე ქვეყნის დამოუკიდებლობა 1991 წელს იქნა გამოცხადებული (9 აპრილს საქართველოში და 16 დეკემბერს ყაზახეთში). არც საქართველოსთვის და არც ყაზახეთისთვის ეს არ ყოფილა ადვილი პროცესი.

საქართველოს მემკვიდრეობით ერგო ავტონომიური ერთეულები: აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (გაუქმდა 1990 წლის 11 დეკემბერს). აჭარის შემთხვევაში ავტონომიის დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მექანიზმში ინტეგრირება მეტნაკლებად უმტკივნეულოდ მოხდა (საბოლოოდ ეს პროცესი ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დასრულდა). აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში წარმოიშვა კონფლიქტები, რომლებიც რუსეთის ჩარევის გამო დღემდე მოუგვარებელია.

ყაზახეთს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას არ გააჩნდა ავტონომიური რეგიონები, სამაგიეროდ, სახელმწიფოს წარმომქმნელი (ტიტულარული) ერის, ყაზახების წილი მოსახლეობაში 40% ნაკლები იყო, რაც თავისთავად ქმნიდა პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით ამ რიცხვმა 70%-ს გადააჭარბა (Ромашкина, 2023), ქვეყანაში სეპარატიზმის საფრთხე კვლავ არსებობს. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის ნოემბერში, სასამართლომ სეპარატისტული საქმი-ანობის ბრალდებით ჩრდილოეთ-ყაზახეთის ოლქის (სადაც დიდია რუსი ეროვნების მოსახლეობის წილი) ოთხ მცხოვრებს 7-დან 9 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა (Николаев, 2023).

დისკუსია. აფხაზეთის საკითხი საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობებში არ იყო წინა პლანზე 2008 წლის აგვისტოს ომამდე. ომის შემდგომ, 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის მიერ ეგრეთ წოდებული „აფხაზეთის რესპუბლიკის“ და „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ცნობამ წარმოშვა საშიშროება ამ სეპარატისტული წარმონაქმნების საერთაშორისო აღიარებისა, პირველ რიგში რუსეთის მეზობელი და პარტნიორი ქვეყნების (ყაზახეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი და ა. შ.) მიერ.

ყაზახეთთან დაკავშირებით მოვლენებს წინ გაუსწრო თავად რუსეთის მხარემ. უკვე 27 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ყაზახეთში მიხეილ ბოჩარნიკოვმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ცნობა-არ ცნობა სუვერენული სახელმწიფოე-

ბის მიერ არ მოახდენს გავლენას რუსეთის ურთიერთობებზე მის მოკავშირეებთან დსთ-ს, კუხო-ს და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში“.[3] იქვე აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციების წევრებთან წინასწარ კონსულტაციები რუსეთის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების გამოცემამდე არ ჩატარებულა.

თუ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდა ყაზახეთი რუსეთის რეგიონალურ პარტნიორებთან შეუთანხმებელი მოქმედებების გამო, გამოჩნდა 28 აგვისტოს დუშანბეში (ტაჯიკეთი) გამართულ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმწიფო მეთაურთა დახურულ სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამიტს ყაზახეთის პრეზიდენტი ესწრებოდა, მას არ გამოუხატავს რაიმე რეაქცია რუსეთის პრეზიდენტის 26 აგვისტოს განკარგულებებზე. დუშანბეს სამიტზე ჟურნალისტებთან ინტერვიუში ყაზახეთის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრმა ნურლან ერმეკბაევმა განაცხადა, რომ „ყაზახეთს ჯერ არ განუსაზღვრავს პოზიცია სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის მიმართ და ამაზე ადრეა საუბარი“ (Панфилова, 2008).

ყაზახეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ელიტაში 2008 წლის აგვისტოს ომის და ზოგადად აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის მიმართ არ იყო ცალსახა დამოკიდებულება. მაგალითად, 2008 წლის 4 სექტემბერს გავრცელებულ ინტერვიუში ცნობილმა ყაზახმა საზოგადო მოღვაწემ, პოეტმა, მწერალმა და დიპლომატმა ოლჟას სულეიმენოვმა აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემა სახელმწიფო ენის საკითხს დაუკავშირა და ცნობილი ანტიქართული ნარატივი გამოიყენა. მისი აზრით, ქვეყანა სამ ნაწილად გაიყო იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიამ დამღუპველი ლოზუნგები წამოაყენა: „საქართველო ქართველებისთვის!", „ქართული ენა იქნება ერთადერთი დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე!" (Жусип, Сабаева, 2008).

აღსანიშნავია, რომ ეს რიტორიკა თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 27 აგვისტოს განცხადებას სეპარატისტული რეგიონების აღიარებასთან დაკავშირებით (МИД России, 2008).

მიუხედავად ამ ყველაფრისა, 2008 წლის 1 ოქტომბერს ვაშინგტონში, კარნეგის ფონდში გამოსვლისას ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარატ ტაჟინმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში ორმაგი სტანდარტები არ უნდა იქნას გამოყენებული: ჩვენ არ ვაღიარეთ კოსოვო და არ ვაღიარეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი" (Тажин, 2008).

---

[3] დსთ-დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (<u>რუს.</u> Содружество Независимых Государств - СНГ), კუხო-კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (<u>რუს.</u> Организация Договора о коллективной безопасности — ОДКБ)- რეგიონალური მთავრობათაშორისი ორგანიზაციები შექმნილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომლებშიც წამყვანი როლი რუსეთს უკავია.

ასევე კოსოვოს არცნობას დაუკავშირა აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ არაღიარება ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა კარიმ მასიმოვმა 2008 წლის 12 დეკემბერს რადიო „ეხო მოსკვი“-ს ეთერში. „საზღვრები უკვე დადგენილია და ყაზახეთი არ აღიარებს ახალ სახელმწიფოებს“, - თქვა. კ. მასიმოვმა (Венедиктов, 2008). ყაზახი პოლიტიკოსების მიერ კოსოვოს მაგალითის მოყვანა მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სეპარატული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში ყაზახეთი ხელმძღვანელობს პირველ რიგში პრაქტიკული გარემოებებით.

ამასთან, ცნობილია, რომ ყაზახეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს რუსეთს, რომელთანაც ის დაკავშირებულია სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო ურთიერთობებით და გაითვალისწინოს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მეზობლის - ჩინეთის პოზიციაც.

აფხაზეთის საკითხის შემდგომი წარმოჩენა მოხდა 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (ევრაზესი) შექმნის ფონზე. 2014 წლის აგვისტოში თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი ბგანბამ მიმართა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს და ბელორუსის რესპუბლიკის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით (Бганба, 2014).

ამ მცდელობას, ყაზახეთის მხრიდან რაიმე ოფიციალური რეაქცია არ მოჰყოლია. გასათვალისწინებელია, რომ ყაზახეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ფაქტიურად ერთპიროვნულად განისაზღვრებოდა მისი უცვლელი ხელმძღვანელის, პირველი პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მიერ, რომელიც უცვლელად მართავდა ქვეყანას 1989-2019 წლებში. 2019 წლის მარტში პრეზიდენტის ძალაუფლება მან ნებაყოფლობით გადასცა სენატის თავმჯდომარეს ყასიმ-ჟომარტ ტოყაევს, რომელიც იმავე წლის ივნისში ყაზახეთის პრეზიდენტად იქნა არჩეული. მიუხედავად ამისა, ნურსულთან ნაზარბაევი ინარჩუნებდა უშიშროების საბჭოს და მმართველი პარტიის თავმჯდომარის და სხვა თანამდებობებს, რაც იძლეოდა საფუძველს ეჭვისა, რომ ადგილი ჰქონდა ძალაუფლების მხოლოდ ფორმალურ გადაცემას.

ნაზარბაევი ასევე აგრძელებდა საერთაშორისო და ქვეყნის შიდა ღონისძიებებში მონაწილეობას. ამ პერიოდში მან გამოხატა თავისი დამოკიდებულება რუსეთის მიერ მიერთებული სეპარატისტული რეგიონების მიმართ. კერძოდ, ამერიკელი რეჟისორის ოლივერ სტოუნისთვის მიცემულ ინტერვიუში ფილმში „ყაზახი. ოქროს ადამიანის ისტორია“ (2021 წელი) ნაზარბაევმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაღიარეთ ყირიმი რუსეთის კუთვნილებად, რადგან მაშინ უნდა გვეცნო ოსეთის, აფხაზეთის, კოსოვოს დამოუკიდებლობაც“ (КазТАГ, 2021).

ყაზახეთში უმაღლესი ხელისუფლების ფაქტიური შეცვლა დაიწყო 2022 წლის იანვრის საპროტესტო მოვლენების შემდეგ. მასიური არეულობების მცდელობებმა, რომელსაც 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა ეჭქვეშ დააყენა პრეზიდენტ ტოყაევის ძალაუფლება. მის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება შესაძლებელი გახადა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (კუხო), ფაქტიურად კი რუსეთის შეიარაღებული ძალების შეყვანამ ყაზახეთში.

ყაზახეთში განვითარებული მოვლენები თავისი მიზნებისთვის სცადა გამოეყენებინა თვითგამოცხადებული „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობამ. „აფხაზეთის პრეზიდენტმა“ ასლან ბჟანიამ 2022 წლის 8 იანვარს მხარდაჭერის წერილით მიმართა ყაზახეთის ხელმძღვანელობას და განაცხადა, რომ „ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფოს უსაფრთხოების და მთლიანობის დარღვევის მცდელობებში იგრძნობა გარე ჩარევის ნიშნები“.

მიუხედავად ამ პოლიტიკური „თავის შეხსენებისა“ ყაზახეთის პოზიცია საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ არ შეცვლილა. 2022 წლის 17 ივნისს პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე პრეზიდენტმა ტოყაევმა განაცხადა, რომ „თუკი ერების თვითგამორკვევის პრინციპი უშუალოდ განხორციელდება, ეს გამოიწვევს ქაოსს მსოფლიოში, ამიტომ მისი ქვეყანა არ ცნობს არც ტაივანს, არც კოსოვოს, არც სამხრეთ ოსეთს, არც აფხაზეთს და სავარაუდოდ იგივე პრინციპი იქნება გამოყენებული ისეთი კვაზი სახელმწიფოებრივი ტერიტორიების მიმართ, როგორებიცაა ლუგანსკი და დონეცკი“. ტოყაევის თქმით, „თუ ერის თვითგამორკვევის უფლება რეალურად განხორციელდება მთელ მსოფლიოში, მაშინ იმ 193 სახელმწიფოს ნაცვლად, რომლებიც ამჟამად გაერო-ს წევრია, დედამიწაზე 500 ან 600-ზე მეტი სახელმწიფო გამოჩნდება~ (Токаев, 2022).

ტოყაევის გამოსვლას ცხადია მოჰყვა რეაქცია ე. წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მხრიდან. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ინალ არძინბას საპასუხი განცხადებაში აფხაზეთის სუვერენიტეტის არგუმენტებად ნახსენებია „სახელმწიფოებრიობრის ათასწლოვანი ისტორია“ და ის, რომ თითქოსდა „აფხაზეთის რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარების გავრცობით და გაეროში მონაწილეობით მსოფლიოში მეტი ქაოსი არ შეიქმნება“ (Шария, 2022).

უფრო მკვეთრი იყო არაოფიციალური პირების პოზიცია. ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის დირექტორმა (ქ. სოხუმი) არდა ინალ-იფამ ყასიმ-ჟომარტ ტოყაევი აფხაზეთის ისტორიის და პრობლემატიკის არცოდნაში დაადანაშაულა, რაც მისი აზრით აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გააქტიურების და გაძლიერების ამოცანას სვამს (Шария, 2022).

იქიდან გამომდინარე, რომ ყაზახეთი რუსეთთან საბაჟო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ კავშირშია, ადგილი აქვს ფაქტიურ ყაზახურ-აფხაზურ ურთიერთობებს, რაც თავად ყაზახეთის შიგნითაც ბადებს კითხებს.

მაგალითად, ყაზახეთის მცხოვრებთა გაკვირვებას იწვევს ფაქტი, თუ რატომ გადაადგილდებიან ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომანქანები აფხაზეთის სარეგისტრაციო ნომრებით, მაშინ როცა ამ სახელმწიფოს ყაზახეთი არ ცნობს Lada, 2020). ყაზახეთის სახელმწიფო ორგანოებმა ეს მდგომარეობა იციან და კანონიერად თვლიან აფხაზურ ნომრებიანი ტრანსპორტის დროებით შემოყვანას ქვეყანაში, მხოლოდ რეკომენდაციას აძლევენ ყაზახეთის მცხოვრებებს არ შეიძინონ ასეთი სატრანსპორტო საშუალებები განბაჟების გარეშე (Сухоруков, 2021).

მეორე მაგალითია ყაზახეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოფნა. რუსეთის კანონმდებლობით აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთის მსურველმა ყაზახეთის მოქალაქემ შეიძლება მიმართოს ყაზახეთში რუსეთის საელჩოს საკონსულო განყოფილებას, რომელიც გასცემს აფხაზეთში „ლეგალურად“ შესვლა-გამოსვლის ნებართვას. აქედან გამომდინარე ყაზახეთის მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ტურისტული ან სხვა მიზნებით მოინახულონ ოკუპირებული ტერიტორიები. უფრო მეტიც, ამა წლის სექტემბერში ყაზახეთის ქალაქ აქტაუში ჩატარდა საერთაშორისო ტურისტული ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტურიზმის მინისტრმა თეიმურაზ ხიშბამ. ამ ფორუმის ფარგლებში ადგილი ჰქონდა შეხვედრას ყაზახეთის რესპუბლიკის მანგისტაუს ოლქის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან (Эхо Кавказа, 2023).

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთში დაბალია აფხაზეთის პრობლემატიკის და საერთოდ აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყრელი ნაწილის ცნობადობა. 2017 წელს ჩატარებული ზეპირი გამოკვლევის მიხედვით ქვეყნის მცხოვრებებმა ან არ იციან აფხაზეთის შესახებ ან ფლობენ მცდარ ინფორმაციას (Кадир, Шайхинов, 2017/2022). აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (დიასპორები), მკვლევარ-მეცნიერებმა გააქტიურონ ყაზახეთის შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებთან აფხაზეთის პრობლემატიკაზე ინფორმაციის გაზიარება.

გამოყენებული ლიტერატურა

Бганба, 2014: Валерий Бганба. И. о. президента Абхазии просит Казахстан и Белоруссию признать независимость республики, 21 августа 2014, Tass.ru. https://-tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/1392377

Венедиктов, 2008: Алексей Венедиктов. Интервью премьер-министра РК Карима МАСИМОВА радио «Эхо Москвы», 12 декабря 2008 года. Ак Жайык — еженедельник Атырау, https://azh.kz/ru/news/view/1974

Жусип, Сабаева, 2008: Нурторе Жусип, Гулбаршын Сабаева. Олжас Сулейменов: Я всегда был и остаюсь интернационалистом https://almaty-lit.ucoz.ru/publ/12-1-0-236

Кадир, Шайхинов, 2017/2022: Айгюзель Кадир, Болат Шайхинов. Абхазия глазами казахстанцев: Черное море, Кавказ и "Нарты из Абхазии", 16.02.2017 (обновлено: 13:05 01.02.2022). https://ru.sputnik.kz/20170216/abhaziya-glazami-kazahstancev-chernoe-more-kavkaz-i-narty-iz-abhazii-1585823.html?ysclid=l-q9s0otxmk290473216

КазТАГ, 2021: Мы не признали Крым российским из-за Осетии, Абхазии и Косово – Назарбаев. Общественно-политический журнал Казахстана, 04 декабря 2021. https://time.kz/news/politics/2021/12/04/my-ne-priznali-krym-rossijskim-iz-za-osetii-abhazii-i-kosovo-nazarbaev

Lada, 2020: Почему в Казахстане ездят машины с абхазскими номерами, рассказали в МИД РК, Новости Казахстана и мира Lada, 20.12.2020. https://www.lada.kz/another_news/86687-pochemu-v-kazahstane-ezdyat-mashiny-s-abhazskimi-nomerami-rasskazali-v-mid-rk.html

МИД России, 2008: Заявление МИД России, 1246-26-08-2008; 27.08.2008 13:51 https://www.mid.ru/ru/foreign_policy/news/1600343/

Николаев, 2023: Виктор Николаев. Приговор по громкому делу о сепаратизме вынесли в СКО https://www.nur.kz/incident/crime/2048067-prigovor-po-gromkomu-delu-o-separatizme-vynesli-v-sko/

Панфилова, 2008: Ольга Панфилова. Казахстан еще не определился с признанием Абхазии и Южной Осетии https://newdaynews.ru/inworld/193405.html

Ромашкина , 2023: Светлана Ромашкина. Доля казахов в этническом составе Казахстана достигла 70,7% https://vlast.kz/novosti/55039-dola-kazahov-v-etnicesk-om-sostave-kazahstana-dostigla-707.html

Тажин, 2008: Марат Тажин. Казахстан отказался признать независимость Абхазии и Южной Осетии, Радио Азаттык, 2 октября 2008, https://rus.azattyq.org/a/1293423.html

Сухоруков, 2021: Виктор Сухоруков. Можно ли ездить в Казахстане на машинах из Абхазии и Южной Осетии, Ответ дали в Комитете государственных доходов МФ РК. 26 апреля 2021 kolesa. Kz https://kolesa.kz/content/news/mozhno-li-ezdit-v-kazahstane-na-mashinah-iz-abhazii-i-yuzhnoj-osetii/

Токаев, 2022: "Как вы относитесь к нашей спецоперации?" Токаев ответил на вопрос Симоньян, Inform buro 17 июня 2022, https://informburo.kz/novosti/kak-vy-otnosites-k-nashej-specoperacii-tokaev-otvetil-na-vopros-simonyan

Шария, 2022: Виталий Шария. Абхазская обида на Касым-Жомарта Токаева, Эхо Кавказа, Июнь 20, 2022 https://www.ekhokavkaza.com/a/31906903.html

Эхо Кавказа, 2023: Глава абхазского Минтуризма выступил на Международном форуме в Казахстане, Эхо Кавказа, Сентябрь 16, 2023.https://www.ekhokavkaza.com/a/32595646.html